



„ახალი უმაღლესი სასწავლებლის“
2018 წლის ანგარიში

შესავალი

ახალ უმაღლეს სასწავლებელში, დაწესებულების საქმიანობის, მისი პროგრესისა და გასაუმჯობესებელი მხარეების შესაფასებლად ყოველწლიურად ხორციელდება სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. მონიტორინგის მიზნით, შემუშავებულია მონიტორინგის ჩარჩო და შექმნილია სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაც დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით. მონიტორინგის მექანიზმების დეტალური აღწერა წარმოდგენილია დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

ახალი უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფმა შეაფასა სასწავლებლის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში (2018 წელი) სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებსა და აქტივობებთან მიმართებით. მონიტორინგი განხორციელდა სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია 2018 წლის მონიტორინგის შევსებული ჩარჩო, ასევე განხორციელებული აქტივობების მცირე შეჯამება და მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციები. მონიტორინგის შედეგად, შესაძლოა, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმებზე მომუშავე ჯგუფმა მიიღოს გადაწყვეტილება სამოქმედო გეგმაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესი წარმოადგენს ინსტრუმენტს არა მხოლოდ სამოქმედო გეგმით დასახული მიზნების მიღწევისთვის განვლილი პროცესის შეფასებისთვის, არამედ თავად სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობების ან/და პასუხისმგებელი პირების ან/და ბიუჯეტის ცვლილების საჭიროების დადგენისთვის.

2018 წლის მონიტორინგის ჩარჩო

ლონისძიების დასახელება:	პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული	ინდიკატორი	შესრულდა	სრულად	შესრულდა	უშეცხვად	შესრულდა	ნაწილობრივ	არ შესრულდა	განხორციელებ	განხორციელებ	განხორციელებ	განხორციელებ	ინდიკატორის დამატატურებელი დოკუმენტაცია (შესრულების თარიღი)	შენიშვნა
										ის პროსესი ჯერ არ დაწყებულა	ის პროცესი მიმდინარეობს	ის პროცესი შეჩერებულია	ის პროცესი შეწყვეტილია		
საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება - ბიზნესი, ტურიზმი, საერთაშორისო ურთიერთობები.	1) პროგრამის მოდიფიცირების განვითარებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფ(ებ)ი; 2) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.	საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კითხვარის ანალიზი; საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები.		✓										განახლებული საგანმანათლებლო პროგრამები (რექტორის ბრძანება, ვებ-გვერდი)	
სასწავლებლის შემდგომი განვითარებისთვის უცხოელი ექსპერტების მოწვევა/ჩართვა.	1) რექტორი; 2) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური; 3) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 4) საფინანსო სამსახური.	უცხოელი ექსპერტების მიერ შემუშავებული დოკუმენტი არსებული მდგომარეობის შეფასებისა და რეკომენდაციების შესახებ.					✓				✓			მიმდინარეობა მოლაპარაკება მილან პოლთან	

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ 2018 წლის ანგარიში

<p>საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით ადგილობრივი ექსპერტების ჩართვა/კოლეგიური შეფასების ორგანიზება.</p>	<p>1) საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და განმახორციელებლები; 2) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; 3) საფინანსო სამსახური.</p>	<p>ქართველი ექსპერტების მიერ შემუშავებული დოკუმენტი არსებული მდგომარეობის შეფასებისა და რეკომენდაციები ს შესახებ.</p>				✓					✓				<p>ვინაიდან განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ, პროცესი გადავადდა 2020 წლისთვის</p>
<p>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება, ციმპლემენტაცია და თვითშეფასების ფორმის პერიოდული შევსება.</p>	<p>1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.</p>	<p>ავტორიზაციის სტანდარტებსა და თვითშეფასების ფორმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფ(ებ)ი.</p>	✓												<p>აქტივობა დასრულდება 2019 წელს.</p>

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ 2018 წლის ანგარიში

პოტენციურ დამსაქმებლებთან მემორანდუმების რიცხვის გაზრდა.	1) რექტორი; 2) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;	გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობა.	✓								გაფორმებული მემორანდუმები	
პრაქტიკის ობიექტებისა და პრაქტიკული კურსების დამატება.	1) რექტორი; 2) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.	დამატებული პრაქტიკის ობიექტებისა და პრაქტიკული კურსების რაოდენობა.	✓								მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან; განახლებული კურიკულუმი	
არსებული კურიკულუმის განვითარების მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნა.	1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 2) კანცელარია.	შექმნილი სამუშაო ჯგუფი.	✓								რექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ	
კურიკულუმის განახლება სამუშაო ჯგუფის მიერ.	1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 2) აკადემიური პერსონალი; 3) სამუშაო ჯგუფი.	განახლებული კურიკულუმი.	✓								სამივე საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული კურიკულუმი.	2019 წელს ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ 2018 წლის ანგარიში

დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მოზიდვა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში.	1) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და განმახორციელებლები.	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში ჩართული დამსაქმებლები (სხვა დაინტერესებული პირები).	✓								საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება; სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა	
სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შექმნა.	1) რექტორი; 2) კანცელარია.	სამეცნიერო კვლევითი ცენტრი.	✓								რექტორის ბრძანება; სტრუქტურა	
აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების წახალისება.	1) რექტორი; 2) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური; 3) კანცელარია; 4) საფინანსო სამსახური.	წახალისების დანერგვა/განახლებული მექანიზმები და მათი გამოყენების სტატისტიკა.	✓								რექტორის ბრძანება; სამეცნიერო ჟურნალი	
ტრენინგების, სემინარების, ვორკშოპების ორგანიზება სტუდენტებისათვის.	1) სამეცნიერო კვლევითი ცენტრი; 2) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;	განხორციელებული ტრენინგები, სემინარები, ვორკშოპები	✓								ვებგვერდი	

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ 2018 წლის ანგარიში

	3) საფინანსო სამსახური.											
სტუდენტური კონფერენციის ორგანიზება, დაფინანსება.	1) სამეცნიერო კვლევითი ცენტრი; 2) საზოგადოებრივ ურთიერთობის სამსახური; 3) რექტორი; 4) საფინანსო სამსახური.	ჩატარებული კონფერენცია	✓								ვებგვერდი; კონფერენციის მასალები	
საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება სტუდენტებისთვის.	1. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური; 2. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; 3. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. 4. ბიბლიოთეკა	ჩატარებული ღონისძიებები.	✓								განხორციელებული შეხვედრების ფოტო, ვიდეო მასალა, ვებგვერდი	
აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობის წახალისების ეფექტური მექანიზმების შემუშავება.	1. რექტორი; 2. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; 3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;	შემუშავებული მექანიზმები;			✓				✓			დასრულებულია 2019 წელს

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ 2018 წლის ანგარიში

	4. საფინანსო სამსახური.											
პლაგიატის პრევენციის და დეტექციის ეფექტური მექანიზმების შემუშავება/დანერგვა.	1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 2. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.	შემუშავებული/დანერგული მექანიზმები.			✓				✓		ეთიკის კოდექსი; სილაბუსები;	დასრულება 2019 წელს- პლაგიატის სოფტის შექმნით
კეთილსინდისიერების პრინციპების პოპულარიზაცია /ცნობადობის ამაღლება სტუდენტში.	1. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; 2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 3. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; 4. აკადემიური/მოწვეული პერსონალი; 5. სტუდენტური თვითმმართველობა;	ჩატარებული საინფორმაციო/ცნობადობის ამაღლების ღონისძიებები.		✓							ჩატარებული შეხვედრები; სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	
საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება (ბეჭდვითი და ელექტრონული)	1) რექტორი; 2) საფინანსო სამსახური;	განახლებული, საბიბლიოთეკო რესურსები									საბიბლიოთეკო რესურსების შექმნის/ფლობის დამადასტურებელი	

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ 2018 წლის ანგარიში

	<p>3) ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი; 4) პროგრამების ხელმძღვანელი; 5) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.</p>		✓									<p>დოკუმენტაცია/რესურსი; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა საბიბლიოთეკო რესურსებთან მიმართებით; პერსონალის კმაყოფილების კვლევა საბიბლიოთეკო რესურსებთან მიმართებით.</p>	
<p>საბიბლიოთეკო სივრცისთვის კომპიუტერული ტექნიკის შეძენა/განახლება.</p>	<p>1) რექტორი; 2) საფინანსო სამსახური; 3) საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური; 4) ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.</p>	<p>შემენილი/განახლებული ტექნიკა; სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევა საბიბლიოთეკო რესურსებთან მიმართებით.</p>		✓				✓				<p>საბიბლიოთეკო სივრცის განსახლებლად შეძენილი იქნა: პროექტორები; წიგნების კარადა; კომპიუტერები; პრინტერები; ნოუთბუქები; წიგნები.</p>	<p>აქტივობის ჯერადობა პერმანენტულია და გრძელდება 2019 წლის სასწავლო წელშიც.</p>
<p>სასწავლო და საოფისე ინვენტარის შეძენა-განახლება.</p>	<p>1) სამეურნეო-ტექნიკური რესურსების სამსახური; 2) საფინანსო სამსახური.</p>	<p>განახლებული სასწავლო და საოფისე ინვენტარი.</p>		✓				✓				<p>2018 წელს განხორციელდა სასწავლო და საოფისე ინვენტარის შეძენა-განახლება. სასწავლებლის მხრიდან შეძენილი იქნა: კომპიუტერები; პრინტერები; ნოუთბუქები; სკამები; მაგიდები.</p>	<p>აქტივობის ჯერადობა პერმანენტულია და გრძელდება 2019 წლის სასწავლო წელშიც.</p>

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ 2018 წლის ანგარიში

<p>მოსასვენებელი სივრცის განახლება სტუდენტებისათვის.</p>	<p>1) სამეურნეო-ტექნიკური რესურსების სამსახური; 2) საფინანსო სამსახური.</p>	<p>მოსასვენებელი სივრცის განახლებისთვის გამოყოფილი/გახარჯული თანხები; სტუდენტთა მოსასვენებელი სივრცე;</p>		✓				✓									
<p>ადმინისტრაციული პერსონალის ატესტაცია/კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, კურსების შეთავაზება.</p>	<p>1) ადამიანური რესურსების სამსახური; 2) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 3) საფინანსო სამსახური.</p>	<p>განხორციელებული ატესტაცია/ატესტაციის შედეგები; დაგეგმილი და შეთავაზებული კურსები.</p>	✓											<p>2018 წლის 21 დეკემბერს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების განახლებული სტანდარტების საფუძველზე, მოხდა ადმინისტრაციული პერსონალის ატესტაცია.</p>			
<p>ლექციებზე ურთიერთდასწრება; პერიოდული თვითშეფასება; გამოკითხვები.</p>	<p>1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მართვის სამსახური; 2) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; 3) პროგრამების ხელმძღვანელები.</p>	<p>ჩატარებული კვლევები; შევსებული თვითშეფასების ფორმა, შევსებული ურთიერთდასწრების ფორმა და მათი ანალიზი/ანგარიში.</p>	✓											<p>განხორციელებული შეფასების შედეგები</p>			


„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ 2018 წლის ანგარიში

<p>პერსონალის წახალისების მექანიზმების დახვეწა / განხორციელება.</p>	<p>1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 2) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური; 3) საფინანსო სამსახური.</p>	<p>წახალისების დანერგვით/განახლებული მექანიზმები და მათი გამოყენების სტატისტიკა.</p>			✓					✓							
<p>სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.</p>	<p>1) რექტორი; 2) საერთაშორისო ურთერთობების სამსახური; 3) უზრუნველყოფის სამსახური; 4) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; 5) საფინანსო სამსახური.</p>	<p>განხორციელებული აქტივობები: ა) საინფორმაციო შეხვედრები; ბ) საკონსულტაციო სერვისები სტუტენტთათვის.</p>			✓								საინფორმაციო შეხვედრების დამადასტურებელი მასალა (ფოტო, ვიდეო, ვებგვერდი)			2019 წლისთვის შეიცვალა ფორმულირება	
<p>სოციალური მედიის აქტიური გამოყენება მარკეტინგული მიზნების განსახორციელებლად.</p>	<p>1) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; 2) საფინანსო სამსახური; 3) საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.</p>	<p>სოციალურ მედია სივრცეში განხორციელებული აქტივობები.</p>		✓					✓				სასწავლებლის განხორციელებული აქტივობების გაშუქების მთავარ პლათფორმას 2018 წელს წარმოადგენდა სოციალური მედია. შესაბამისად საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოხდა სასწავლებლის აქტივობების გაშუქება				


„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ 2018 წლის ანგარიში

											სოციალურ მედია სივრცეში.	
ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პოლიტიკის და მექანიზმების სრულყოფა/სისტემატიზირება.	1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 2) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული მხარეები	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პოლიტიკისა და მექანიზმების სახელმძღვანელო.	✓								სახელმძღვანელო დოკუმენტი.	
პროგრამული აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშების და თანდართული დოკუმენტაციის მომზადება (ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის და საერთაშორისო ურთიერთობების პორგრამებისთვის).	1) პროგრამის განვითარების და რეაკრედიტაციის მზადების სამუშაო ჯგუფი; 2) აკადემიური/მოწვეული პერსონალი; 3) ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი.	წარდგენილი თვითშეფასების ანგარიშები.	✓								წარდგენილი თვითშეფასების ანგარიშები.	

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ 2018 წლის ანგარიში

<p>ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და საჭირო ინტერვენციების განხორციელება.</p>	<p>1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 2) სასწავლებლის ყველა ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეული; 3) აკადემიური/მეცნიერული პერსონალი; 4) გარე დაინტერესებული პირები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, სხვ); 5) გარე შემფასებელი (ექსპერტი).</p>	<p>სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზი; განხორციელებული ცვლილებები.</p>	<p>✓</p>								<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში</p>	
<p>ავტორიზაციის სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ანგარიშის შევსება და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრში წარდგენა.</p>	<p>1) ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმის შევსებაზე მომუშავე ჯგუფი; 2) საფინანსო სამსახური.</p>	<p>ავტორიზაციის მამიებლის თვითშეფასების ანგარიში.</p>										<p>პროცესი დასრულდება 2019 წელს</p>

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ 2018 წლის ანგარიში

<p>სასწავლო პროცესის და სხვა ინსტიტუციური პროცესების მიმდინარეობაზე პერმანენტული კონტროლი (სისტემური კვლევების/საჭიროებებზე დაფუძნებული კვლევების მეშვეობით).</p>	<p>1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 2) შეფასების შედეგების საფუძველზე განსახორციელებელ ცვლილებებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირ(ებ)ი.</p>	<p>განხორციელებული კვლევები/შეფასებები; განხორციელებული ცვლილებები.</p>	<p>✓</p>								<p>ჩატარებული კვლევები</p>	
<p>საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.</p>	<p>1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 2) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.</p>	<p>განხორციელებული შეხვედრები</p>	<p>✓</p>								<p>განხორციელებული შეხვედრების ფოტოვიდეომასალა, დასწრების ფურცლები, ვებგვერდი</p>	
<p>სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესება.</p>	<p>1) რექტორი; 2) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; 3) საფინანსო სამსახური.</p>	<p>მარეგულირებელ დოკუმენტებში შესული ცვლილებები; დაფინანსებული სტუდენტები.</p>	<p>✓</p>								<p>განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტი - ვებგვერდი</p>	
<p>პირველკურსელებისათვის წამახალისებელი მექანიზმების შეთავაზება</p>	<p>1) რექტორი; 2) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; 3) საფინანსო სამსახური.</p>	<p>ფინანსურად წახალისებული სტუდენტები.</p>	<p>✓</p>								<p>რექტორის ბრძანება</p>	

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ 2018 წლის ანგარიში

<p>სტუდენტთა მოტივაციის ზრდის მექანიზმების სრულყოფა.</p>	<p>1) რექტორი; 2) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; 3) საფინანსო სამსახური; 4) სტუდენტური თვითმმართველობა.</p>	<p>სტუდენტთა მოტივაციის დონის ასამაღლებლად განხორციელებული სხვადასხვა აქტივობა.</p>				✓										<p>შეიცვალოს ფორმულირება, აქტივობა აისახოს 2019 წლის სამოქმედო გეგმაში</p>
<p>სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის ხელშეწყობა. (ექსკურსიების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსება).</p>	<p>1) რექტორი; 2) საფინანსო სამსახური. 3) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; 4) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი; 5) სტუდენტური თვითმმართველობა;</p>	<p>რექტორის ბრძანება გაცემული დაფინანსების რაოდენობა.</p>	✓										<p>რექტორის ბრძანება; ვებგვერდი</p>			

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ 2018 წლის ანგარიში

<p>სპორტულ ცენტრთან თანამშრომლობის გაფორმება.</p>	<p>1) სტუდენტური თვითმართველობა; 2) საფინანსო სამსახური; 3) კანცელარია.</p>	<p>სპორტულ ცენტრთან გაფორმებული თანამშრომლობა.</p>				✓							<p>აქტივობა აისახოს 2019 წლის სამოქმედო გეგმაში</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა.</p>	<p>1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 2) ფაკულტეტი; 3) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; 4) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფები.</p>	<p>სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა.</p>	✓									<p>სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა</p>	

სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებთან მიმართებით განხორციელებული აქტივობების მოკლე აღწერა/მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება - ბიზნესის ადმინისტრირება, ტურიზმი, საერთაშორისო ურთიერთობები; პროგრამული აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშების და თანდართული დოკუმენტაციის მომზადება (ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამებისთვის)

2018 წელს, განახლებული აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად მოდიფიცირდა ახალი უმაღლესი სასწავლებლის სამივე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების მოთხოვნები სრულად იქნა იმპლემენტირებული პროგრამებში, ასევე, მათში ასახვა ჰპოვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასებების, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების - სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების რეკომენდაციებმა და მოსაზრებებმა. ამასთან, პროგრამები შეფასდა უცხოელი ექსპერტების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზზე დაფუძნებით, თვითშეფასების პროცესში შეფასდა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების დინამიკა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, სამუშაო ჯგუფმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით, შეაფასა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან და შეავსო თვითშეფასების ანგარიში. შევსებული აკრედიტაციის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, წარდგენილია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. 2018 წელს, ორ საგანმანათლებლო პროგრამაზე (ბიზნესის ადმინისტრირება და ტურიზმი) განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი, მესამე პროგრამის (საერთაშორისო ურთიერთობები) სააკრედიტაციო ვიზიტი კი იგეგმება 2019 წლის პირველ ნახევარში.

სასწავლებლის შემდგომი განვითარებისთვის უცხოელი ექსპერტების მოწვევა/ჩართვა

სამივე საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა უცხოელი შემფასებლის, კერძოდ, ბრიუსელისა და კიევის უნივერსიტეტების პროფესორების მიერ. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება მასარიკის უნივერსიტეტის (ჩეხეთი) პროფესორთან, განათლების ფაკულტეტის დეკანთან და გამოცდილ საერთაშორისო ექსპერტთან, მილან პოლთან, ინსტიტუციის განმავითარებელი შეფასების განსახორციელებლად.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით ადგილობრივი ექსპერტების ჩართვა/კოლეგიური შეფასების ორგანიზება

ვინაიდან 2018 წელს განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და სასწავლებლის მიერ მოწვეული უცხოელი ექსპერტების მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით და სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერით, გადაწყდა აღნიშნული აქტივობის გადავადება 2020 წლისთვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება, ცვლილებების იმპლემენტაცია და თვითშეფასების ფორმის პერიოდული შევსება

ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობა სრულად არის შეფასებული სამუშაო ჯგუფის მიერ. შეფასების შედეგების გათვალისწინებით, შესაბამის დოკუმენტებსა და პროცედურებში განხორციელებულია ცვლილებები. თვითშეფასების ანგარიშის შევსების პროცესი დაწყებულია.

ამასთან, 2018 წლის დასასრულს, განხორციელდა ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი. ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის თანდართული დოკუმენტაცია, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად, სრულად არის წარდგენილი. მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციები აისახება შესაბამის დოკუმენტებში.

პოტენციურ დამსაქმებლებთან მემორანდუმების რიცხვის გაზრდა; პრაქტიკის ობიექტებისა და პრაქტიკული კურსების დამატება

2018 წელს გაფორმდა მემორანდუმები შემდეგ კომპანიებთან და დაწესებულებებთან :

- საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (12.04.2018);
- საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი (17.04.2018);
- შპს „ნიუსრუმი“ (18.04.2018);
- სს „ნიკორა ტრეიდი“ (19.04.2018);
- „მსოფლიოში დაკარგულები“ (25.04.2018);
- „ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემია“ (29.04.2018);
- სსიპ „თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა“ (7.05.2018);
- ბაზის ბანკი (06.06.2018);

- სს „გუდვილი“ (06.06.2018);
- შპს „ბულაჩაური 2017“ (06.06.2018);
- სასტუმრო რედისონ ბლუ ივერია - შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“ (25.06.2018);
- შპს „ქობულეთური ტრედიინგი“ (25.06.2018);
- შპს „სათავგადასავლო კლუბი „ჯომარდი“ (26.06.2018);
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია (04.07.2018);
- აისეკ საქართველო (09.07.2018);
- განათლებისა და საერთაშორისო განვითარების აკადემია (08.11.2018);
- თომას ჯეფერსონის კვლევითი ცენტრი (14.12.2018);

ორ საგანმანათლებლო პროგრამას, დამსაქმებელთა რეკომენდაციების შესაბამისად, დაემატა შემდეგი პრაქტიკული ხასიათის კურსები:

- მომხმარებელთა ქცევა;
- საბანკო საქმე.

ამას გარდა, სამივე საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი გაძლიერდა, გაიზარდა საკონტაქტო საათების რაოდენობა 204 საათამდე, კრედიტების რაოდენობა კი 10 -მდე.

**არსებული კურიკულუმის განვითარების მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნა;
კურიკულუმის განახლება სამუშაო ჯგუფის მიერ**

სამივე საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომელშიც წარმოდგენილია როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი.

სამუშაო ჯგუფებმა აქტიურად იმუშავეს პროგრამების განახლებაზე, ჩატარდა 12 სამუშაო შეხვედრა (თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - 4 შეხვედრა). განახლებული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით და წარდგენილია რეაკრედიტაციაზე.

დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მოზიდვა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში;
საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში 2018 წელს შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ფართო იყო. ჩატარდა სისტემური კვლევები, რომელიც მოიცავდა დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვებს. ამასთან, პროგრამების რეაკრედიტაციის პროცესში შექმნილ ჯგუფებში ჩართული იყვნენ დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტები, მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში. ამასთან, პროგრამების რეაკრედიტაციისთვის მზადების დასრულების შემდეგ სამუშაო ჯგუფები გარდაიქმნენ მუდმივმოქმედ ჯგუფებად და მათში ყოველთვის იქნება უზრუნველყოფილი როგორც დამსაქმებლების, ასევე კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების ჩართულობა.

დამსაქმებელთა და სტუდენტთა რეკომენდაციით, პროგრამებს დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები:

- მომხმარებელთა ქცევა;
- საბანკო საქმე;
- ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა;
- ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა.

ასევე, დამსაქმებელთა და სტუდენტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, გაძლიერდა უცხო ენის კომპონენტი. კვირეული საკონტაქტო საათების რაოდენობა გაიზარდა უცხო ენის შემსწავლელი სასწავლო კურსებისთვის 3-დან 4 სთ-მდე, გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტი (10 ECTS - 204 საკონტაქტო სთ.), პრაქტიკა განახლებულ პროგრამაში წარმოდგენილია სავალდებულო კონკონენტად, ხოლო საბაკალავრო ნაშრომი - არჩევითია ყველა პროგრამისათვის.

სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შექმნა

2018 წელს, ახალ უმაღლეს სასწავლებელში შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის ფუნქციაც არის სასწავლებლის კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და ხარისხის განვითარება, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა, მათი კონსულტირება და სხვ. სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი იზრუნებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზების, შეფასების და წახალისების ინსტიტუციური მექანიზმების და პროცედურების გაუმჯობესებასა და დანერგვაზე და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულებაზე.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების წახალისება

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის წახალისების მიზნით, ახალი უმაღლესი სასწავლებელი გამოსცემს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალს „დიპლომატია და სამართალი“, ასევე მართავს პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას. 2018 წელს სასწავლებლის 17 აკადემიური პერსონალის ნაშრომი დაიბეჭდა ზემოაღნიშნულ ჟურნალში. სასწავლებელი ხელს უწყობს მისი პერსონალის სამეცნიერო აქტივობებს როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

ვინაიდან სასწავლებლის მისიის და მიზნების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობების წახალისება და მათი კვლევითი უნარების განვითარება, პროფესორ-მასწავლებლებს, რომელიც ხელმძღვანელობდნენ სტუდენტურ კონფერენციაში გამარჯვებულ სტუდენტებს, სასწავლებლის ადინისტრაციამ გადასცა ფულადი ჯილდო და საგზური. დაფინანსდა სასწავლებლის პროფესორის, ნოდარ გრძელიშვილის წიგნის გამოცემა, რომელიც გამოიცემა 2019 წელს.

ტრენინგების, სემინარების, ვორქშოების ორგანიზება სტუდენტებისათვის;

სტუდენტური კონფერენციის ორგანიზება;

სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესება;

პირველკურსელებისათვის წამახალისებელი მექანიზმების შეთავაზება;

სტუდენტთა მოტივაციის ზრდის მექანიზმების სრულყოფა

2018 წელს მაღალი აქტივობის მქონე სტუდენტები სასწავლებლის დაფინანსებით გაემგზავრნენ ბაკურიანში (სულ - 11 სტუდენტი); დაფინანსდა ერთი სტუდენტის ვიზიტი ტრენინგზე ბაქოში; დაფინანსდა სტუდენტთა მივლინება ტრენინგ-კონფერენციაზე ქ.ლარნაკაში (4 სტუდენტი) და სალონიკში (4 სტუდენტი), სალონიკში მივლინებული სტუდენტებიდან, ორს მოპოვებული ჰქონდა სასწავლო გრანტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად; 2018 წლის ივნისში გამართული სტუდენტური კონფერენციის გამარჯვებულებს გადაეცათ საგზურები კვიპროსში; გაიმართა რიგით მეხუთე სტუდენტური კონფერენცია, რომელშიც მოხსენება გააკეთა ახალი უმაღლესი სასწავლებლის 13-მა სტუდენტმა; სპორტულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისა და წარმატების მიღწევისათვის გამოიყო თანხა.

2018 წელს, უფრო მკაფიოდ განისაზღვრა სოციალურად მოწყვლადი სტუდენტის ცნება და შესაბამისად ჯგუფი, რომელსაც აქვს უფლება, ისარგებლოს ფინანსური შეღავათით ახალი უმაღლესი სასწავლებლისგან.

ჯამში 16 სოციალურად მოწყვლად სტუდენტს გაეწია შეღავათი სწავლის საფასურში. ამასთან, რექტორის ბრძანებით, სწავლის საფასურის შეღავათი გაეწია სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს, კერძოდ, სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, მათ გაუნახევრდა სწავლის საფასური 1 წლის მანძილზე; ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ სტუდენტებს მიეცა 50%-იანი გრანტი; საანგარიშო პერიოდში ასევე გაიცა სასწავლო გრანტი სტუდენტური კონფერენციის გამარჯვებულ სტუდენტზე; გაიცა 50%-იანი გრანტი რიგგარეშე მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის, ოთხ ეტაპად;

ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა ასევე შესთავაზა ყოველთვიური სტიპენდია წარჩინებულ სტუდენტებს, რაც მიმართულია მათი მოტივაციის ამაღლებისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისკენ.

ამასთან, ახალი უმაღლესი სასწავლებლის და „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“ მიერ გამოცხადებულ ერთობლივ კონკურსში გამარჯვებისათვის 1 სტუდენტი გათავისუფლდა სწავლის საფასურისაგან ერთი წლის ვადით.

მონიტორინგის ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტუდენტთა მოტივაციის ზრდის მექანიზმებზე მუშაობა საჭიროა აქტიურად გაგრძელდეს მომავალშიც.

**პლაგიატის პრევენციის და დეტექციის ეფექტური მექანიზმების შემუშავება/დანერგვა;
აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების პოპულარიზაცია/ცნობადობის ამაღლება სტუდენტებში**

2018 წელს, სასწავლებლის ძირითადი ქმედებები მიმართული იყო პლაგიატის პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებაზე. სტუდენტთა ინფორმირებისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განისაზღვრა პლაგიატის ცნება, მასზე რეაგირების მექანიზმები; სილაბუსის ფორმაში დაემატა ჩანაწერი აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ. ხოლო 2019 წლიდან იგეგმება პლაგიატის დეტექციის კომპიუტერული პროგრამით უზრუნველყოფა.

**საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება (ბეჭდური და ელექტრონული)
საბიბლიოთეკო სივრცისთვის კომპიუტერული ტექნიკის შეძენა/განახლება.**

2018 წელს, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების სილაბუსების განახლების პარალელურად, მიმდინარეობდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება და შევსება. ჯამში, 2018 წელს შეძენილი იქნა 226 ერთეული წიგნი/სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს.

ამასთან, გაფორმდა ხელშეკრულება კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლებლის ბიბლიოთეკისთვის პერიოდული გამოცემების მიწოდებას (ყოველთვიურად). პერიოდული გამოცემები შესაბამისობაშია როგორც საგანმანათლებლო პროგრამებთან (მაგალითად: ბიზნესი და მენეჯმენტი; ახალი ეკონომიკა; აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები; ისტორიანი), ასევე, უზრუნველყოფს სტუდენტების მსოფლმხედველობის გაფართოებისთვის საჭირო, ზოგად გამოცემებს და სხვ.

**სასწავლო და საოფისე ინვენტარის შეძენა-განახლება;
მოსასვენებელი სივრცის განახლება სტუდენტებისათვის**

2018 წელს, განახლდა მოსასვენებელი სივრცეები სტუდენტებისთვის, მათ შორის დაიდგა ყავის აპარატი სტუდენტთა მოთხოვნის შესაბამისად, მოეწყო მოსასვენებელი/სამუშაო სივრცე. არსებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა შეივსო 36 ერთეულით (მ.შ. კომპიუტერი, პროექტორი, ლეპტოპი, პრინტერი/ქსეროქსი). განახლდა საოფისე და სასწავლო ინვენტარი, კერძოდ, დაფები, კონდიციონერი, სკამები, საოფისე მაგიდები, კარადები და სხვ.).

ადმინისტრაციული პერსონალის ატესტაცია/ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, კურსების შეთავაზება

2018 წლის ნოემბერში შეიქმნა ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, რომლის ინიციატივით, განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის ატესტაცია. ადმინისტრაციულ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტადარტებთან მიმართებით. ადმინისტრაციული პერსონალისთვის 2018 წელს შეთავაზებული იყო უცხო ენის უფასო სასწავლო კურსი, კომპიუტერული უნარების განვითარების კურსები (საოფისე პროგრამების გამოყენება).

ლექციებზე ურთიერთდასწრება, პერიოდული თვითშეფასება, გამოკითხვები;

სასწავლო პროცესის და სხვა ინსტიტუციური პროცესების მიმდინარეობაზე პერმანენტული კონტროლი (სისტემური კვლევების/საჭიროებებზე დაფუძნებული კვლევების მეშვეობით)

განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მექანიზმებით განსაზღვრული აქტივობები: ჩატარდა დაინტერესებული პირების გამოკითხვები, ფოკუს-ჯგუფები, ლექციაზე დასწრება, ჩატარდა გარე კვლევა სასწავლებლის დაკვეთით, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პერსონალმა წარმოადგინა თვითშეფასების შევსებული ანგარიშები.

პერსონალის წახალისების მექანიზმების დახვეწა / განხორციელება

პერსონალის მართვის პოლიტიკის ფარგლებში განისაზღვრა პერსონალის წახალისების მექანიზმები, თუმცა, პერსონალის მართვის პოლიტიკა და მასში განსაზღვრული პროცესები, წესები და პროცედურები დახვეწისა და სრულყოფის პროცესშია და დასრულდება 2019 წელს.

აქტივობები, რომელიც მიმართული იყო პერსონალის წახალისებაზე:

2018 წელს, დაფინანსდა 2 პირის ტრენინგზე დასწრება ბაქოში; 22 პირის (მათ შორის აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული პერსონალი) ვიზიტი სასწავლებლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-კონფერენციაზე ლოპოტაზე; გაიმართა საერთაშორისო ტრენინგ-კონფერენცია ქ. ლარნაკაში, სადაც დაფინანსდა 26 აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ვიზიტი; შეკვეთილში, სასტუმრო პარაგრაფში, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გაიმართა ტრენინგი, სადაც დაფინანსდა 19 პირის მივლინება/დასწრება;

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამსახურის უფროსი მივლინებულ იქნა ვარშავაში, საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავების მიზნით; კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს დაუფინანსდა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში მონაწილეობა; 2 პირი მივლინებული იქნა საბერძნეთში, 10 კი - სალონიკში;

პრემიები გაიცა: ადმინისტრაციულ პერსონალზე - სულ 16 პირი; აკადემიურ პერსონალზე - სულ 6 პირი;

დანამატი გაიცა სამივე საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელზე 8 თვის განმავლობაში;

სამივე პროგრამის რეაკრედიტაციაზე მომუშავე ჯგუფის წევრებს მიეცათ პრემია (15 პირი);

სანიმუშო მუშაობისთვის შრომის ანაზღაურება გაეზარდა 3 პირს;

ამასთან, 2018 წლის ბოლოს, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი ორი საუკეთესო ლექტორიდან ერთს გადაეცა საგზური საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებად, ერთს კი - ფულადი ჯილდო ოდენობით.

**საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება სტუდენტებისთვის;
სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება**

2018 წელს სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულის მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები შემდეგ საკითხებზე:

- სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი სერვისები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობა;
- სასწავლო ელექტრონული ბაზის გამოყენება;
- სასწავლო პროცესთან და სტუდენტთან დაკავშირებული სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტები;
- სტუდენტის უფლებები და მოვალეობები;
- სტუდენტის როლი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში;
- პლაგიატი და მისი თავიდან აცილება;
- ხელმისაწვდომი საერთაშორისო შესაძლებლობები.

ამასთან, 2018 წელს, სასწავლებლის მოწვევით, საქართველოში იმყოფებოდა ბრიუსელის პროფესორი, ლუი დეკლარი, რომელმაც გამართა რამოდენიმე საჯარო ლექცია და ტრენინგი სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, სასწავლებლის მოწვევით, სისტემატურად იმართება საჯარო ლექციები, განხილვები და საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებისთვის საინტერესო სხვადასხვა თემატიკასა და ღონისძიებაზე. მათ შორის, მობილობისა და სხვადასხვა საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ.

სტუდენტებს 2018 წელს ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, სადაც განხილული იქნა მათთვის შეთავაზებული გაცვლითი პროგრამები პოლონეთსა და უკრაინაში, სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობისთვის და მათი ინგლისური ენის კომპეტენციის გაძლიერების მიზნით, დაიგეგმა და ჩატარდა უფასო, ინგლისური და პოლონური ენის შემსწავლელი კურსები, თუმცა, აღნიშნული აქტივობა გრძელდება და 2019 წელს უნდა გააქტიურდეს მუშაობა საერთაშორისო პარტნიორების და შესაძლებლობების მოძიებისა და სტუდენტებისთვის შეთავაზებული გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო აქტივობების გაზრდის მიმართულებით.

სოციალური მედიის აქტიური გამოყენება მარკეტინგული მიზნების განსახორციელებლად

სოციალურ მედიაში, 2018 წლის მანძილზე აქტიურად ხდებოდა დაწესებულების აქტივობის გაშუქება, რასაც ადასტურებს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული სიახლეები და გაშუქებული რეკლამა.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პოლიტიკის და მექანიზმების სრულყოფა/სისტემატიზირება

2018 წელს, სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაიწერა როგორც ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, ძირითადი მიმართულებები და თავი მოეყარა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ყველა მექანიზმს. ამასთან, თავად მექანიზმების გასაუმჯობესებლად გატარდა შემდეგი ღონისძიებები: განახლდა სისტემურ კვლევებში გამოყენებული კითხვარები, შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ფორმა, რომელიც მოიცავს პროგრამის შეფასებისთვის საჭირო როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ ინდიკატორებს; დაინერგა ფოკუს-ჯგუფების პრაქტიკა, გაიწერა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების გეგმა; შემუშავდა და დაინერგა ლექციაზე ურთიერთდასწრების ფორმა; განახლდა საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის სარეკომენდაციო ფორმები; შემუშავდა ინსტრუქცია საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების ფორმების შევსებისთვის; განახლდა პროგრამისა და სილაბუსის შეფასების ფორმები.

ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის შევსება და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრში წარდგენა

ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის თანდართული დოკუმენტაცია თავმოყრილია, მიმდინარეობს თვითშეფასების ანგარიშის შევსებაზე მუშაობა. შევსებული თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრში მოხდება 2019 წლის მარტში.

საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ

2018 წელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად ახორციელებდა საკონსულტაციო საქმიანობას. გაიმართა არაერთი შეხვედრა, მათ შორის შემდეგ თემატიკაზე: აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების მოთხოვნები, კურიკულუმის რუკის შედგენა, აკრედიტაციის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის ფორმის შევსება, სწავლება-სწავლის მეთოდები, შეფასების მეთოდები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით, ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის შევსება, და სხვ. გარდა ჯგუფური საკონსულტაციო შეხვედრებისა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სისტემატურად ხორციელდებოდა ინდივიდუალური კონსულტაციები თითოეული სასწავლო კურსის ლექტორთან თუ ადმინისტრაციის წარმომადგენელთან. თითოეული ფორმა, რომელიც მოდიფიცირდა მიმდინარე წელს, განახლდა მასზე დაინტერესებულ მხარეთა აქტიური მუშაობის

შედეგად. კერძოდ კი, პროგრამის, სილაბუსის, სასწავლო გეგმის სტრუქტურის ცვლილების პარალელურად ხდებოდა მისი ფართო განხილვები აკადემიურ პერსონალთან, მათ შორის, ინდივიდუალურ დონეზე.

სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის ხელშეწყობა

2018 წელს სასწავლებლის ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობდა სტუდენტურ თვითმმართველობასთან, რაც დასტურდება სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივების ხელშეწყობით. სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა:

1. ექსკურსიები 4 (კახეთის რეგიონში, ქვემო ქართლის რეგიონში, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში), მ. შ. პირველკურსელთა ექსკურსია და გასვლითი ექსკურსია-ლექცია ქარხანაში „კულა“;
2. უსდ-თა შორისი და შიდასაუნივერსიტეტო ღონისძიება „რა? სად? როდის“;
3. ბოულინგის ჩემპიონატში მონაწილეობა;
4. მსოფლიო რბენაში მონაწილეობა;
5. შიდა საუნივერსიტეტო ტურნირები - შაში; მაგიდის ჩოგბურთი;
6. საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციაში დელეგატის დასწრება საერთო კრებებზე და დელეგატისა და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის წევრობის საწევრო;
7. არაერთი სოციალური პროექტი.

ამასთან, თვითმმართველობის თხოვნით, დაიბეჭდა ახალი უმაღლესი სასწავლებლისა და თვითმმართველობის მაისურები.

რეკომენდაციები

- სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები რიგ შემთხვევაში დაზუსტებას საჭიროებს, ასევე აღინიშნება გადაფარვები და დუბლირებები, შესაბამისად, მონიტორინგის ჯგუფს რეკომენდებულად მიაჩნია სამოქმედო გეგმის რევიზია და მასში განსაზღვრული აქტივობების კორექტირება, მაგალითად, შესაძლოა აქტივობების გაერთიანება;
- ახალი უმაღლესი სასწავლებლის მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და გეგმების მისაღწევად სასურველია სასწავლებლის ადმინისტრაციამ გააძლიეროს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, რაც მოიცავს როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობას; საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას; საერთაშორისო პარტნიორების რიცხვის ზრდას;
- სასურველია, გააქტიურდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, კონკრეტულად კი, ახალი პარტნიორი კომპანიების მოძიება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებისთვის;
- რეკომენდებულია, სასწავლებელმა 2019 წელს სრულად შეასრულოს პლაგიატის დეტექციისა და პრევენციის მექანიზმების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული აქტივობა, კერძოდ კი, შეიძინოს და დანერგოს პლაგიატის დეტექციის ელექტრონული პროგრამა;
- რეკომენდებულია 2019 წელს გააქტიურდეს პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის წახალისება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კვლევითი საქმიანობის გაძლიერებას;
- რეკომენდებულია გამრავალფეროვნდეს პერსონალისთვის შეთავაზებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსები;
- მნიშვნელოვანია 2019 წელს დასრულდეს პერსონალის წახალისების მექანიზმების სრულყოფა;
- კიდევ მეტად გაიზარდოს სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების რიცხვი, ასევე სტუდენტთა მოზიდვის მიზნით განხორციელებული/დაგეგმილი აქტივობების რაოდენობა;
- 2019 წლისთვის მნიშვნელოვანია გაიზარდოს ან შენარჩუნდეს ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობასა და საბიბლიოთეკო რესურსების გამდიდრებაზე გამოყოფილი თანხები და შესრულებული სამუშაოები;

- სასურველია, გააქტიურდეს მუშაობა სოციალური მედია-მარკეტინგის მიმართულებით, კერძოდ, **Facebook/Instagram/LinkedIn** და სხვა გვერდების აქტიურად და პროფესიონალურად მართვა, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სტუდენტებთან, აბიტურიენტებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის დასამყარებლად და არსებულის შესანარჩუნებლად. სოციალური მედიის გვერდის პროფესიონალური მართვა, არსებულ და პოტენციურ დაინტერესებულ მხარეებს შეუქმნის შესაძლებლობას, მიიღონ ყოველდღიური ინფორმაცია, უკეთ გაიცნონ და მიიღონ გადაწყვეტილება ჩვენს უმაღლეს სასწავლებელთან ურთიერთობის დასამყარებლად. გაიზრდება ბრენდის ცნობადობა, საიტის ვიზიტორების რაოდენობა, ჩარიცხვები, სასწავლებლის აქტივობები იქნება შუდმივ თვალთახედვაში. ამასთან, სოციალური ქსელები კარგი ინსტრუმენტია რეკლამირებისთვის, შესაბამისად, რეკომენდებულია სწორი პლატფორმის არჩევა - სასურველია, **Facebook** გვერდს დაემატოს **Instagram** გვერდი, გააქტიურდეს ვიდეო რეკლამირება Youtube- ის მეშვეობით, ასევე, განისაზღვროს სხვა რეკლამის ტიპები (მაგ. ფოტო პოსტი, Giphy და სხვ.) და მათი ბმა მოხდეს ბიუჯეტთან, ასევე, დაიგეგმოს სარეკლამო კამპანიის მომგებიანი დრო.

